

თეთნულდის საბაგირო კომპლექსის უბანზე მეწყერსაშიში ზონის
გამოკვლევა ელექტრომეტრიული მეთოდით

ოთარ თომაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტზე გეოფიზიკაში
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები

(მიმართულება - გეოფიზიკის)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მალხაზ გიგიბერია, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

აღნიშნული კვლევის მიზანს წარმოადგენდა დამატებითი გეო-საინჟინრო ინფორმაციის შეგროვება მეწყრული სხეულის ამგები ქანების პოტენციალურ აქტიურობასთან დაკავშირებით, რომელზეც უნდა განლაგდეს T6 საბაგირო.

გატარებულ იქნა ელექტრული პროფილები რათა განსაზღვრულიყო შესასწავლი უბნის აგებულება. საკვლევი ტერიტორია მდებარეობს ქვეყნის ჩრდილო - დასავლეთით კავკასიონის მთებში. უფრო კონკრეტულად, თეთნულდი მდებარეობს დაბა მესტიის აღმოსავლეთით.

ელექტრომიება - საძიებო გეოფიზიკის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდია, ის დაფუძნებულია ბუნებრივი და ხელოვნური ველების შესწავლაზე დედამიწის სიღრმეში. გეოფიზიკური მეთოდებიდან ყველაზე ფართო გამოყენება აქვს გეოლოგიურ კვლევებში და საინჟინრო საქმიანობაში.

გაკეთებული იქნა გრძივი ტალღების სიჩქარეებისა და ელექტრული წინააღობების მნიშვნელობათა ურთიერთდამოკიდებულების ანალიზი, საკვლევ უბანზე წარმოდგენილი ნაყარი გრუნტისა და თიხაფიქლებისთვის, რომელთა მიხედვითაც შევადგინეთ აღნიშნულ პარამეტრთა ურთიერთდამოკიდებულების გრაფიკები, რის მიხედვითაც გრძივი დრეკადი ტალღების სიჩქარეების ზრდა შეესაბამება წინააღობათა მნიშვნელოვან ზრდას.

გამოყენებული იქნა რეალურად ჩატარებული საველე კვლევის შედეგად მიღებული ელექტრო პროფილირების მასალები, მათი სეისმურ პროფილირების შედეგებთან შედარების შედეგად დადგინდა, გამოყენებული აპარატურისა და მეთოდის ეფექტურობა და გაიზარდა კვლევის შედეგთა ინფორმატიულობა.

Abstract

The aim of this study was to further Geo - Engineering actuality to gather information regarding potential landslide of rocks forming station, which should be placed T6 rope. The study area is located in the north - west of the Caucasus Mountains. More specifically, Tetnuldi located East of the town of Mestia.

Electrical survey - Currently the longitudinal waves and electrical resistivity values of velocity interaction analysis, the bulk of the research station ground for which the interaction parameters identified above graphs, which corresponds to an increase in the longitudinal elastic wave velocities increased significantly obstacles.

We were actually used in the field of research resulting from the power profiling of materials and their comparison with the results of seismic profiling revealed an apparatus and method used to increase the effectiveness and outcomes research to inform.